(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 13 14. 03. 2018
განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 28 30.11.2023

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი /შალვა ჭკადუა/

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: N 5 14.03.2018

ცვლილებები დამტტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: 21 01.12.2023

წარმომადგენლობითი საბჭოს თვმჯდომარე: / მანანა ღარიბაშვილი /

თელავი
2018

(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის გეგმა, არის დოკუმენტი, რომელიც სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტზე(შემდგომში-თესაუ) გავლენის მქონე, გარემოში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს. დოკუმენტი სრულად შეესაბამება თესაუს ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკას. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა (შემდგომში-,,ბუგ") ნებისმიერი ორგანიზაციის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ბუგის საშუალებით ხორციელდება კრიზისულ სიტუაციებში ბიზნეს პროცესების აღდგენა და გაგრძელება. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ნებისმიერ დროს, მათ შორის პროცესების მნიშველოვანი ან უმნიშვნელო შეფერხების შემთხვევაშიც კი, ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო და ორგანიზაციული პროცესების უწყვეტობა.

ბუგ-ის ამოცანებია:

• ძირითადი ფუნქციების და კრიტიკული ღონისძიებების იდენტიფიცირება, მათთვის საჭირო რესურსების ჩათვლით;

• გეგმის შემუშავება და ბიზნესის შეფერხების თავიდან აცილების, ბიზნეს პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფი და რაც შეიძლება მოკლე დროში ჩვეულებრივი პროცესში დასაბრუნებელი საჭირო რესურსების იდენტიფიცირება;

• საგანგებო სიტუაციების დროს ბიზნეს უწყვეტობის პროცესის უზრუნველყოფა , შესაბამისი რესურსებით (კატასროფულ ვითარებაში ოპერატიულად მოსაგვარებელი პროცესების აღდგენა).

ბუგ მოიცავს სამ ძირითად სფეროს:

- **უსაფრთხოება**-თესაუ-ს ყველა სტუდენტის, თანამშრომლისა და გარშემომყოფი საზოგადოებისთვის უსაფრთხო აკადემიური გარემოს, კომუნიკაციების, მონაცემთა შენახვისა და აღდგენის, პროგრამული სისტემების, ქსელის ხელმისაწვდომობის შენარჩუნება.
- **სწავლა, სწავლება და კვლევა** - აკადემიურ და სხვა ინსტიტუციონალურ პროცესებს; ყველა პროგრამა და მომსახურება, რომელიც უშუალოდ ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას.

- **ბიზნეს საქმიანობის მხარდამჭერი მოქმედებები** რესურსებთან მიმართებაში - რაც თესაუ-ს საშუალებას მისცემს ბიზნეს საქმიანობის შენარჩუნების მიზნით, დაიცვას ადამიანური რესურსი, ქონება და უზრუნველყოს დაწესებულების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა.

ბუგ განიხილება, როგორც „ცოცხალი“ პროცესი და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- **ინციდენტის მართვის სისტემა**, რაც კრიტიკული სიტუაციების მართვას, კოორდინაციას და კონტროლს მოიცავს;
- **ბიზნესის გავლენის ანალიზი,** რაც უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების მაქსიმალური მოცდენის დროს მოიცავს;
- **რისკების შეფასება,** რაც უნივერსიტეტისთვის სხვადასხვა მოვლენით გამოწვეული საფრთხის ხარისხს განსაზღვრავს;
- **რისკების მართვა, რაც** მნიშნველოვანი ფუნქციების აღსადგენად საჭირო, წერილობით, საჯაროდ გავრცელებულ სტრატეგიებს, სამუშაო ჯგუფებისათვის გაწერილ აქტივობებსა და პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემებს მოიცავს.
- **გეგმის განახლება,** რაც გეგმის მუდმივად განახლებასა და თანამშრომლებისთვის (როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პეროსნალისთვის) და სტუდენტებისთვის მუდმივ გაცნობას გულისხმობს.

ინციდენტის მართვის სისტემა - ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტში სწორედ ინციდენტის მართვა იგეგმება, რომელიც თესაუს თანამშრომლების და სტუდენტებისათვის შეუფერხებელი მომსახურების მიწოდებასა და პერსონალის მწარმოებლურობის ამაღლებას ემსახურება.თესაუს ყველა რგოლი ქაოსის თავიდან ასაცილებლად, მარტივ, მოქნილ საერთო წესზე თანხმდება. ინციდენტის მართვის სისტემაში უნივერსიტეტის ყველა რგოლია ჩართული და ვალდებულია, უმნიშვნელო შეფერხებისას, ყველა სტრუქტურასთან ითანამშრომლოს, ხოლო ფართო მასშტაბიანი საფრთხის დროს მაგ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად იმუშაოს.

ბიზნესის გავლენის ანალიზი- განსაზღვრავს უნივერსიტეტის მოცდენის სავარაუდო დროს და ამ პერიოდში ყველასათვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ბიზნესუწყვეტობის პროცესზე მომუშავე ჯგუფები კონკრეტულ მიზნებს ისახავენ და განსაზღვრავენ ხარჯებს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. გარდა ამისა, ხორციელდება მოქმედებები, რომლებიც თესაუს ქონების, ფინანსური მდგომარეობისა და უნივერსიტეტის მისიის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

რისკების შეფასება, რაც უზრუნველყოფს ტექნიკური და ბუნებრივი კატასროფების შედეგად პოტენციური საფრთხის ხარისხისა და გავლენის სიმძიმის განსაზღვრას, რაც უარყოფითად აისახება თესაუ-ზე. საფრთხე ფასდება თესაუ-ზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის კუთხით.

რისკების მართვა- წარმოადგენს ერთიანი, უწყვეტი და კონკრეტული მოქმედებების გეგმას, რომელიც საფრთხის შემთხვევაში რისკების შესამცირებლად გამოიყენება. ბუგ-ის შესრულებაზე პასუხისმგებელი გუნდი აფასებს რისკებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით, რის შემდეგაც, გუნდი ახორციელებს მოქმედებების ერთობლიობას მოსალოდნელი შეფერხებების თავიდან აცილებისა და რისკების შესამცირებლად (Mitigation-მიტიგაცია).

რისკების მართვის აუცილებელი კომპონენტია რისკის რეალიზაციის დროს განსახორციელებელი პროცედურები და ინციდენტთან დაკავშირებული გეგმით გათვალისწინებული რეაგირება. აუცილებელ პირობას წარმოადგენს თანამშრომლების, სტუდენტების, თესაუ-ში მყოფი სხვა პირების ინფორმირება და პროცესების აღდგენისათვის განსაზღვრული რეალური დროის დადგენა.

გეგმის განახლება - გამოცდილების გათვალისიწინებით, ბიზნეს პროცესების ცვლილების/საჭიროებიდან გამომდინარე ყოველწლიურად უნდა მოხდეს ბუგ-ის განახლება, არსებული სტრატეგიების რეგულარულად შემოწმება, პერსონალისა და სტუდენტების სისტემატური ინფორმირება.

ბუგ-ის განხორციელების პროცესის კოორდინირებისთვის იქმნება გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (ლიდერი), რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე, მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი, საფინანსო სამსახურის უფროსი, სახელმწიფო შესყიდვების

განყოფილების უფროსი, განათლების მართვის ავტომატიზირებული სისტემების ადმინისტრატორი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

ბუგ ცდილობს შექმნას მოქნილი სისტემა შემდეგი რისკების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესამცირებლად. ასეთი რისკებია:

• შენობა- ნაგებობის განადგურება/დაკარგვა;

• ICT ან სხვა მონაცემების განადგურება/ დაკარგვა;

• პერსონალის დაზიანება/დაღუპვა/სამსახურში არგამოცხადება;

•სხვა ტექნოლოგიების/აღჭურვილობის/აპარატურის დაკარგვა, ინტერნეტის, ელექტროენერგიის შეწყვეტა და ა.შ.;

მიზნის მისაღწევად სამი ფაზა გამოიყოფა, რომელიც დამოკიდებულია აღდგენის დროის ობიექტურ (RTO) საფუძველზე RTO ცხრილის გამოყენებით:

• საგანგებო ფაზა (პრიორიტეტი 1 - დაუყოვნებლივი რეაქცია 0-24 საათი)

• უწყვეტი ფაზა (პრიორიტეტი 2 - შუალედური გადაწყვეტა 1-7 დღე)

• აღდგენის ფაზა (პრიორიტეტი 3 - დაბრუნება ჩვეულებრივ რეჟიმში> 7-28 დღე)



თესაუ-ს ძირითადი საოპერაციო რისკები მოიცავს:

(ცვლილება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 21 01.12.2023)

1. საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები;
2. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკები;
3. ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები;
4. კომუნალური მომსახურების შეწყვეტა;
5. სასწავლო და მატერიალური რესურსების ზიანთან დაკავშირებული რისკი;
6. ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, ტექნიკურ მოწყობილობებთან, ლაბორატორიულ აღჭურვილობებთან და ინტერნეტსერვისებთან დაკავშირებული რისკები;
7. ფორს-მაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებუული რისკები;
8. რეპუტაციასთან და ბრენდის ცნობადობასთან დაკავშირებული რისკები.

სქემა 1: საოპერაციო რისკებზე მოქმედი ფაქტორების, ამ ფაქტორებზე კონტროლის მექანიზმების და პრევენციული ღონისძიებების გეგმა - ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა:

რისკების შეფასება						
N	რისკების დასახელება	მოხდენის ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	უნივერსიტეტის საქმიანობაზე გავლენა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	პრევენციისა და კონტროლის მექანიზმები	გაუმჯობესების გზები/პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი
1. საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები						
1.1.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შეწყვეტა	დაბალი	საშუალო	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობა	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები; პროგრამის ხელმძრვანელები
1.2.	უნივერსიტეტის ავტორიზაციის დაკარგვა	დაბალი	მაღალი	უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობა	უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი; უნივერსიტეტის სტატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და ცვლილებების საჭიროებების განსაზღვრა	რექტორი; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტტები; სამსახურები
2. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკები						

2.1.	საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ახალი და/ან დამატებითი ფინანსური ვალდებულებების ზრდა	დაბალი	მაღალი	გადასახადების მუდმივი მონიტორინგი	ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ცვლილებების განხორციელება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ფინასურ-მატერიალური და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური
2.2.	ადმინისტრაციული, საგადასახადო ჯარიმების დაკისრებით და სამართლებრივი დავებით გამოწვეული ფინანსური ვალდებულებების ზრდა	დაბალი	მაღალი	გადასახადების მუდმივი მონიტორინგი; სამართლებრივი ვალდებულებების მუდმივი კონტროლი	ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ცვლილებების განხორციელება;	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ფინასურ-მატერიალური და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური; იურიდიული სამსახური
2.3.	უნივერსიტეტის სტუდენტების კონტიგენტის შემცირება	დაბალი	მაღალი	სტუდენტების კონტიგენტის და შემოსავლების მუდმივი მონიტორინგი;	შრომის ბაზრის კვლევა; სწორი საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია	ადმინისტრაცია; სამსახურები
2.4..	გათვალისწინებელ ხარჯებთან დაკავშირებული რისკი	საშუალო	საშუალო/მაღალი	მუდივი მონიტორინგი	გაუთვალისწინებელი ხარჯებთან დაკავშირებული რისკის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	ადმინისტრაცია; ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური
3. ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები						
3.1.	აკადემიური პერსონალის რაოდენობის შემცირება/გადინება	დაბალი	მაღალი	აფილირება, წახალისება, მოქნილი სახელფასო სისტემა და სხვ) - აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით დროებითი ჩანაცვლება, - თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე

3.2.	მოწვეული პერსონალის რაოდენობის შემცირება/გადინება	დაბალი	სასუალო	წახალისება, დატვირთვის მოქნილი სქემის შეთავაზება, მოქნილი სახელფასო სისტემა და სხვ) - მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დროებითი ჩანაცვლება, - თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება/ახალი პერსონალის მოწვევა.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე
3.3.	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის შემცირება/გადინება	დაბალი	საშუალო	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენება (წახალისება, მოქნილი დატვირთვისა და სახელფასო სისტემა და სხვ)	სამუშაოების არსებულ თანამშრომელთა შორის გადანაწილება, შესაბამის კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დროებითი ჩანაცვლება,- თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება	სტრუქტურული ერთეულის უფროსი- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
4. კომუნალური მომსახურების შეწყვეტა						
4.1.	ელექტროენერგიის შეწყვეტა	დაბალი	საშუალო	უნივერსიტეტის ელ. გაყვანილობის სისტემატური მონიტორინგი	ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროს უზრუნველყოფა	მატერიალური რექსურსების სპეციალისტი
4.2.	გათბობის სიტემის დაზიანება	დაბალი	საშუალო	გათბობის სისტემის შემოწმება სეზონის დაწყების წინ (წელიწდში 2-ჯერ)	შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	გათბობის სისტემის ზედამხედველი პირი
4.3.	წყალმომარაგების შეწყვეტა	დაბალი	საშუალო	წყალგაყვანილობის ყოველკვარტალური შემოწმება	შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	წყალმომარაგების ტექნიკოსი
5. სასწავლო და მატერიალური რესურსების ზიანთან დაკავშირებული რისკი						

5.1.	სასწავლო კორპუსების დაზიანება	დაბალი	საშუალო	შენობების შემოწმება საექსპერტო ბიუროს მიერ; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შენობების პერმანენტული შემოწმება	საფრთხის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებების გატარება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
5.2.	სხვა დამხმარე შენობების დაზიანება	დაბალი	საშუალო	შენობების შემოწმება საექსპერტო ბიუროს მიერ; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შენობების პერმანენტული შემოწმება;	საფრთხის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებების გატარება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
5.3.	ბიბლიოთეკის შენობის დაზიანება	დაბალი	მაღალი	შენობის პერმანენტული შემოწმება	საფრთხის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებების გატარება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ბიბლიოთეკის უფროსი; ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
5.4.	სამუშაო ოთახების დაზიანება	დაბალი	დაბალი	ოთახების ყოველკვირეული შემოწმება	საფრთხის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებების გატარება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
5.5.	სასწავლო აუდიტორიების და ლაბორატორიების დაზიანება	დაბალი	დაბალი	აუდიტორიების და ლაბორატორიების ყოველკვირეული შემოწმება	საფრთხის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებების გატარება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური; ლაბორანტები

5.6.	დოკუმენტაციის (მ.შ საარქივო) დაზანება/დაკარგვა	დაბალი	მაღალი	უსაფრთხოების უზრუნველყოფა	საფრთხის აღმოსაფხვრელად პრევენციული ღონისძიებების გატარება; დოკუმენტების უსაფრთხო შენახვის უზრუნველყოფა	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; კანცელარია
6. ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, ტექნიკურ მოწყობილობებთან, ლაბორატორიულ აღჭურვილობებთან და ინტერნეტსერვისებთან დაკავშირებული რისკები						
6.1.	კომპიუტერული და სხვა მოწყობილობები	დაბალი	მაღალი	კომპიუტერული და სხვა მოწყობილობების პერმანენტული მონიტორინგი;	შეკეთებისა და განახლებისათვის საჭირო ფინანსური და ტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვა	ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური; ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
6.2.	ლაბორატორიული აღჭურვილობა და მარაგები	დაბალი	მაღალი	ლაბორატორიული აღჭურვილობებისა და მარაგების მუდმივი მონიტორინგი	ექნიკური ღონისძიებების დაგეგმვა	ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური; ფაკულტეტების ადმინისტრაცია; ლაბორანტები

6.3.	ინტერნეტ კავშირის შეწყვეტა	დაბალი	მაღალი	ქსელების ინტენსიური მონიტორინგი	ინტერნეტკავშირის შეწყვეტის შიდა მიზეზის დადგენა შიდა მიზეზის აღმოფხვრა; მომწოდებელი კომპანიის შეწყვეტის შესახებ ინფორმირება და მათი მხრიდა რეაგირების უზრუნველყოფა	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
6.4.	პროგრამული უზრუნველყოფის შეფერხება	საშუალო	მაღალი	სერვერულ მოწყობილობებსა და ჰოსტინგზე მუდმივი მონიტორინგი	განახლებები, ანტივირუსები, მონაცემთა სარეზერვო ასლების აღება, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; ელექტრონული სისტემების ადმინისტრატორი მომწოდებელი კომპანია
7. ფორს-მაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებუული რისკები						
7.1.	სტიქიური უბედურების (წყალდიდობა, ქარიშხალი, ქარბორბალა, მიწისძვრა) რისკი	საშუალო	მაღალი	ინფრასტრუქტურის მოწყობა: სტიქიური უბედურების დროს ქცევის შესახებ პერსონალის ინფორმირება;	შენობიდან ევაკუაციის განხორციელება; საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების სამსახურისათვის შეტყობინების გაგზავნა;	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირი
7.2.	ხანძარი	საშუალო	მაღალი	ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურის მოწყობა	შენობიდან ევაკუაციის განხორციელება; სახანძრო ჯგუფის გამოძახება	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი
7.3.	ტერორისტული აქტები	დაბალი	მაღალი	დაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმების მოწყობა/გაძლიერება	შენობიდან ევაკუაციის განხორციელება; საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების სამსახურისათვის შეტყობინების გაგზავნა;	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირი

7.4.	ვირუსებითა და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები	საშუალო	მაღალი	სახელმწიფო რეკომენდაციების გაცნობა/გათვალისწინება	სწავლების და მუშაოების დისტანციურ ფორმატზე გადასვლის მზაობა	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; ფაკულტები; სამსახურები.
8. რეპუტაციასთან და ბრენდის ცნობადობასთან დაკავშირებული რისკები						
8.1.	უნივერსიტეტის დაბალი ცნობადობა	დაბალი	მაღალი	დაინტერესებული მხარეებთან მუდმივი კონტაქტი	საინფორმაციო კამპანიების წარმოება	ადმინისტრაცია; ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური
8.2.	უნივერსიტეტისადმი ნეგატიური განწყობა	დაბალი	მაღალი	დაინტერებული მხარეების კმაყოფილებილეის მუდმივი მონიტორინგი	საინფორმაციო კამპანიების წარმოება	ადმინისტრაცია; ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური
8.3.	ნეგატიური მედია გამოხმაურებები	დაბალი	მაღალი	მედია საშუალებების მუდმივი მონიტორინგი	მუდმივი კონტაქტი მედიასთან	ადმინისტრაცია; ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური